ცნობის ფურცელი

№ 2543 კვირა, 4 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2543

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში [illegible] დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ორშაბათს, 5 ივლისს, დილის 10 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი აწ გარდაცვალებულის

პეტრე იოსების ძის უმიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დეიდა **ეკატერინე სტეფანეს ასული კაკალაშვილი.** (უ. 2—1)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

[illegible] ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—137)

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირ დაპირ ა. ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ საკანდიტერო დარბაზში

იყიდება
მიტროფანე ლაღიძის

საუკეთესო ქარხნის ნამდვილი

ხილეულის

მშვენიერი გემოსი და არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—6ქ.—15)

ქუთაისში
სასტუმრო „როსია“

ამა 1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის ნიკოლაძის სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ბულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის გვერდით. (15—კ. 6.—7).

თვალის ავადმყოფობის ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი
გადავიდა

კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხეზე სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან). მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. (3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხობოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

მ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

მძ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბავშო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შეწ აცრება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტუთუნდაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხობოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში
კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—30)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივლისი

კუზნეცკი. 1 ივლისს, საღამოს 10 საათზე, სამარიდან კუზნეცკზე გაიარა ხელმწიფე იმპერატორმა ხელმწიფე მემკვიდრითურთ. მის უდიდებულესობას სადგურზე მიეგება სარატოვის გუბერნატორი კამერჰერი სტოლიპინი. ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა შორეულ აღმოსავლეთში მიმავალი ბატარეა.

კოვნა. შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი მოხსენება სხვა-და-სხვა პირთა და დაწესებულებათაგან სამხედრო საჭიროებისათვის შემოწირულებათა მიღებისა და ერთგულების გამოცხადების შესახებ. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, ყველას **გულწრფელი მადლობა** გამოეცხადოსო.

შემოწირულება უმეტეს ნაწილად გლეხთა საზოგადოებებს გამოუგზავნიათ, ზოგიერთი-კი—მოქალაქეთა და ებრაელთა საზოგადოებათ. სულ ამით შემოუწირავთ 9297 მან. და 99 კაპეიკი.

ტოკიო, 2 ივლისი („ვოლფ. სააგ.“). ოფიციალური განცხადება. ევროპაში გავრცელებული ამბავი, ვითომ იაპონელებმა 28 ივნისს, ღამე, პორტ-არტურზე იერიში მიიტანეს და უკუგდებულ იქნენ და ვითომ მათ 30 ათასი კაცი მოუკლესო—სრული სიცრუეა: იმ დღეს მცირე შეტაკება ჰქონდათ მხოლოდ მოწინავე რაზმებს და იაპონელებს არავითარი იერიში არ მიუტანიათ რუსებზე.

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 1 ივლისს: „30 ივნისს რაზმი გაიგზავნა მდინარე კანტახეს მარჯვენა ტოტის ფინსუხის ხეობის დასაზვერად. პოლკოვნიკის ლეშას რაზმი ცინსახეს ხეობაში (გაიჩოუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ამ ქალაქიდან 6 ვერსზე) მოულოდნელად წააწყდა იაპონელთა ქვეითა ჯარის 5-6 ბატალიონს და ცხენოსანთა 5 ესკადრონს. ჩვენმა რაზმმა სროლა აუტეხა და იძულებულ ჰყო მტერი, არეული კანტახეს ხეობისაკენ დაწეულიყო. მტრის სადევნელად გაგზავნილი სოტნები შეაჩერა გაუვალმა ადგილებმა. დილის 10 საათზე იაპონელთა ორი პოლკი არტილერიითურთ და ცხენოსანთა ექვსი ესკადრონი გამოვიდნენ იმ გზაზე, რომელიც გაიჩოუდან ცინსახეს ხეობაში მიდის. ჩვენ დაგვიჭრეს 12 სალდათი. დაზვერის დროს ჩვენმა ცხენოსნებმა გამოარკვიეს, რომ იაპონელთა მახლობელი ჯარი გაიჩოუ-ინკოუს მხარეს სანგოიშის მიდამოებშია, გაიჩოუს ჩრდილოეთით, ექვს ვერსის მანძილზე. გაიჩოუს ჩრდილოეთით, სიმაღლეებზე, ჩვენ მზვერავთა რაზმს სროლა ჰქონდა იაპონელებთან, რომელნიც კედელს ამოეფარნენ. იაპონელებმა ახლო მიუშვეს ჩვენი რაზმი და მერე სროლა დაუწყეს. ჩვენ მოგვიკლეს 4 და დაგვიჭრეს 1 სალდათი; ცხენი მოგვიკლეს 4 და დაგვიჭრეს 3. ამავე დღეს ინჟინერ-კაპიტანმა სანნიკოვმა დაზვერა იაპონელთა სიმაგრეები გაიჩოუს ჩრდილოეთით, რკინის გზასა და სოფელ გოძიატუნს შუა. გაიჩოუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ამ ქალაქიდან 8 ვერსზე, რკინის გზისა და იმ დიდ გზის შუა, რომელიც გაიჩოუდან დაშიცაოში მიდის, კაპიტანმა სანნიკოვმა შეამჩნია 3 ბატარეა, 1 რედუტი და 10 თხრილზე მეტი. კოშკი გზასთან თხრილებით შემორტყმული აღმოჩნდა. მანდარინის გზის აღმოსავლეთით აღმოჩნდა ერთი ბატარეა, უფრო აღმოსავლეთით სიმაგრე აღარა სჩანდა. 30 ივნისს ღამემ წყნარად ჩაიარა. 30 ივნისს ხაიჩენ-ლიანისაკენ ჩვენმა ჯარის-კაცებმა შენიშნეს იაპონელთა ორი როტა. ეს როტები ლიაოიანის გზით სიაუკუშანიდან მონგოუსაკენ მიდიოდნენ. გზებსა და ფერდობებზე იაპონელები ჩაესაფრნენ ჩვენ რაზმებს, მაგრამ ამ უკანასკნელთ დროზე აღმოაჩინეს საფრები. სამძ-ლიაოიანის მხარეს, ლიაონიდან 70 ვერსის მანძილზე, ჩვენმა ჯარის მოწინავე რაზმებმა გაანადგურეს სადარაჯო იაპონელებისა, რომელთაც ხუნხუზებიც უჭერდნენ მხარს. თავისუფალი აღმოჩნდა სოფელ ფანძიაპუზისკენ მიმავალი უღელტეხილი და ჩვენმა მოწინავე ჯარმა დაიჭირა ეს სოფელი. როდესაც მთავარი ნაწილი ჩვენის ჯარისა უღელტეხილზე ავიდა, იაპონელებმა იერიში მიიტანეს ჩვენ მემარჯვენე ფრთაზე. ბრძოლა დაიწყო ნაშუადღევის 1 საათსა და 46 წუთზე და გათავდა ნაშუადღევის 2 საათსა და 30 წუთზე. ბრძოლის დაწყებისავე დაიჭრა ფეხში გენერალი რენნენკამპფი, მოკლულ იქმნა ტვერის პოლკის როტმისტრი ცედერბერგი. დაიჭრნენ: ესაული პოპოვიცკი თავში და ესაული ალლასოვი ღვიძლში (მძიმედ). ყაზახი და სალდათი დაიჭრა 13, აქედან 5 მძიმედ. ცხენი მოგვიკლეს 8, დაგვიჭრეს 11. გენერალი რენნენკამპფი თავის რაზმშივე დარჩა“.

ტამბოვი. 2 ივლისს, დილის 11 საათსა და 55 წუთზე, აქაურ სადგურზე მოვიდა იმპერატორის მატარებელი. მის უდიდებულესობას და ხელმწიფე მემკვიდრეს მიეგება მოსკოვის ოლქის ჯარის უფროსი, რომელიც ტამბოვში ერთის საათით ადრე ჩამოვიდა. ხელმწიფე შებრძანდა პირველ კლასის მშვენივრად მორთულ დარბაზში, სადაც წარუდგნენ თავად-აზნაურობისა, ერობისა, ქალაქის თვით-მართველობისა, მოქალაქეთა, გლეხთა და რკინის გზის მუშათა დეპუტაციები, რომელთაც პურ-მარილი მიართვეს. წარუდგნენ აგრეთვე ტამბოვისა, კოზლოვისა, კირსანოვისა და ბორისოგლებსკის ებრაელთა წარმომადგენელნი, რომელთაც მიართვეს დაბადება. დეპუტაციებმა უქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოსთქვეს. ხელმწიფემ კეთილ ინება და პურ-მარილი მიიღო და დეპუტაციებს მადლობა გამოუცხადა. შემდეგ წარუდგნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მმართველნი და საერობო უფროსნი. აზნაურმა ბოლდირევმა მიართვა იმპერატორს უძველესი ჯვარი, რომელიც მისს პაპის პაპას, ბოიარინს ვოლინსკის, უბოძა პატრიარქმა ფილარეტმა. იმპერატორი საკრებულო ტაძარში წაბძანდა. ხალხმა „ურა“-ს ძახილით გააცილა. ზარები დარეკეს. პარაკლისის შემდეგ ეპისკოპოზმა სიტყვა წარმოსთქვა, ხელმწიფე ჯვარს ემთხვია და წაბძანდა ბანაკში, სადაც ჯარი დაათვალიერა. შემდეგ საიმპერატორო კარავში შებძანდა, გამოიწვია აფიცრები, დალოცა ხატებით და მშვიდობით მგზავრობა უსურვა. ხალხისა და ჯარის აღტაცება უსაზღვროა. ყველა მაღაზიები დაკეტილია, სახელოსნოებში არ მუშაობენ.

სიზრანი. 1 ივლისი. იმპერატორის მატარებელი სადგურ ბატრაკიზე მოვიდა საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე, ხელმწიფე იმპერატორი გამოვიდა პლატფორმაზე, სადაც წარუდგნენ გუბერნატორი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და გლეხთა დეპუტაცია. ბატრაკის ვოლოსტის მამასახლისმა პურ-მარილი მიართვა. იმპერატორი უმოწყალესად ესაუბრა გლეხებს. გლეხთა ხორომ საერო ჰიმნი იმღერა. საღამოს 6 საათზე იმპერატორის მატარებელი დაიძრა. ხალხი და ჯარი „ურა“-ს ყვიროდნენ.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: 27 ივნისი. გუშინ საღამოს ჩვენმა ჯარმა გაიჩოუ დასცალაო.

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელები ჰფიქრობენ, რუსები დაშიცაოს გაამაგრებენ და უბრძოლველად არ დაგვანებებენო. სანამ ჩვენი ჯარი დაშიცაოსა და ხაიჩენს არ აიღებს, ლიაოიანთან ბრძოლა არ მოხდება. როცა დაშიცაოსა და ხაიჩენს ავიღებთ, რუსის ჯარს ლიაოიანის გამაგრება გაუძნელდებაო. („რ. ლ.“).

„მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. კუროკიმ მე-12 დივიზია გენ. ინუეს უფროსობით მუკდენისაკენ გამოგზავნაო.

„ტან“-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. კუროპატკინს ერთი კორპუსი ახალი ჯარი—45 ათასი კაცი—მოუვიდა ლიაოიანში. ეს კორპუსი 28 დღე იყო გზაში. ლიაოიანში ყოველ დღე 1,600 კაცი მოდიოდაო. („რ. ლ.“).

ტოკიოდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: პორტ-არტურიდან გამოქცეულნი ამბობენ, იაპონელებმა პორტ-არტურიდან 10 ვერსის მანძილზე რუსების გამაგრებული პოზიციები დაიჭირეს, მეზღვაურთა ბანაკის ჩრდილოეთითაო. მარშალი ოიამა სამხედრო მოქმედების ასპარეზზე მოვიდაო.

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყება: იაპონიის ჯარმა პორტ-არტურთან იერიში მიიტანა რუსის პოზიციებზე და დიდის ბრძოლის შემდეგ, 21 ივნისს, ღამის სამს საათზე მიაოტუო (დალნის სამხრეთითაა) დაიჭირა. იაპონელები ეხლა ამ პოზიციიდანაც დაუშენენ ზარბაზნებს პორტ-არტურს. ქვეითა ჯარს ფლოტმაც დახმარება გაუწია. მტრის დასაზვერად იაპონელები აეროსტატს ხმარობდნენო. („რ. ს.“).

იაპონურ გაზ. „ძიძი-შიმპო“-ს კორესპონდენტი იუწყება ჩიფუდან: 27 ივნისს პორტ-არტურის მხრიდან ზარბაზნის სროლის ხმა მოდიოდა. სროლა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3½ საათამდე ისმოდაო. („რ. ვედ.“).

„სტანდარდ“-ის კორესპონდენტი იუწყება ჩიფუდან: პორტ-არტურიდან მოსულ რუსებს ვკითხეთ, რა მიზეზია, რომ ბოლოს დროს პორტ-არტურიდან ამდენი ჯუნკები წამოვიდაო. რუსებმა გვიპასუხეს: რუსის მოხელეებმა ყველა მცხოვრებელს უბრძანეს, იარაღი აისხით და მტერს ებრძოლეთო; ბევრი არ დასთანხმდა ამას, მეტადრე ვაჭრები, და მაშინვე წამოვიდნენ პორტ-არტურიდანაო. („რ. ლ.“).

„ნიუ-იორკ ტრიბუნ“-ს ატყობინებენ ჩიფუდან: პორტ-არტურიდან 10 ივნისს კერძო წერილები მოვიდა ჩიფუში. ამ წერილებიდან სჩანს, რომ პორტ-არტურში არ იციან, როგორ მიდის ომის საქმე და სად რა ხდება. მეტად მცირე ცნობა მოსდით, თურმე, პორტ-არტურელებს. მოქალაქეები სარდაფებში იმალებიან,—იქ ყუმბარა აღარა ჰხვდებათ; საჭმელ-სასმელი და სანოვაგე მეტად გაძვირდა. ჩინელები ძლიერ შეწუხებულნი არიან. წითელ-ჯვრის მოწყალების დანი სასადილოებს ჰმართავენ ღარიბებისათვის. („პ. ვ.“).

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყება: ადმირალმა ტოგომ მოახსენა იაპონიის სა-

ზღვაო შტაბს: 25 ივნისს ღამეს ნაღმიან გემების მე-6 ფლოტილიამ კაპიტან ბერშიდას უფროსობით, დიდის წვიმისა და ჭექა-ქუხილის დროს, პორტ-არტურთან მტერი დაზვერა. 26 ივნისს დილის 5 ს. 30 წ. ნაღმიანმა გემმა № 68-მ კრეისერი „ასკოლდი“ დაინახა ერთს კლდესთან და იერიში მიიტანა ამ გემზე. რა მოუვიდა „ასკოლდ“-ს, ვერ გავიგეთ. „ასკოლდ“-მა ზარბაზანი დაუშინა ნაღმიან გემებს № 58 და № 59, მაგრამ ვერ დააზიანა; ამ ბრძოლის დროს 2 ოფიცერი დაგვიჭრეს. („რ. ვ.“).

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: იაპონელები მტრის ჯარისა და პოზიციების დასაზვერად აეროსტატებს (ჰაერში მფრინავ ბურთებს) ხმარობენო. („რ. ლ.“).

„შიკაგო დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტს შეუტყვია: იაპონიის სამხედრო სამინისტრომ აეროსტატების მმართველებად ამერიკელები მიიწვია. ყოველ ოსტატს დღეში ორ-ორი დოლარი (1 დოლარი—2 მანეთია) დაუნიშნა ჯამაგირად, უფროსებს შვიდ-შვიდი დოლარი. („რ. ლ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტს 15 აპრილს პორტ-არტურში საავადმყოფო გემი „მონგოლია“ დაუთვალიერებია. კორესპონდენტი სწერს: „მეტად სამწუხარო სანახავია ეს საავადმყოფო. „პეტროპავლოვსკ“-ის დაღუპვის დროს დაჭრილი და დაშავებული მეზღვაურებიც აქა წვანან. ზოგს ხელ-ფეხი აქვს მოჭრილი; სახე და ტანი ხომ მეტად ბევრს აქვს დამწვარი; ზოგს აღარც თვალი უჩანს, აღარც ცხვირი. მოწყალების დანი მთელი დღე უვლიან, ზეთს უსმენ იარებზე, წამალს აყრიან, ზოგიერთი რჩება, ლაპარაკობს კიდევაც, მაგრამ მაინც მეტად საზარელი სანახავნი არიან“.

26 ივნისს გაიჩოუსთან ბრძოლის დროს მთავარ-შტაბის კაპიტანი გრაფი პ. ნიროდი მოუკლავთ იაპონელებს. განსვენებული ალალი ძმა იყო ჩემულპოსთან კრეისერ „ვარიაგ“-ზე მოკლულ მიჩმან ნიროდისა. გრაფინია ნიროდისას წყვილი ვაჟი-შვილი ჰყოლია და ორივე ეხლანდელ ომის დროს დაუკარგავს.

ნაღმიან გემის „ლეიტენანტ ბურაკოვ“-ის უფროსს ინკოუდან 19 ივნისს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნია თავის ნათესავებისათვის პეტერბურგში: „კარგადა ვარ, არა დამშავებია-რა“. ამ გემის უფროსად ლეიტენანტი ს. ს. დოლგობოროდოვია. ეს მსწრაფლ-მავალი ნაღმიანი გემი რუსებმა 1900 წელს ტაკუს აღების დროს ჩინელებს წაართვეს და ტაკუსთან ბრძოლაში მოკლულ ახალგაზრდა ოფიცრის პატივსაცემლად „ლეიტენანტი ბურაკოვ“-ი დაარქვეს სახელად. („რ. ს.“).

იაპონიის სატრანსპორტო გემებზე 2 ივნისს რამდენიმე ინგლისელი მეზღვაური ოფიცერიც დაიღუპა. იაპონიის მთავრობა ამ ოფიცრის ნათესავებს ჯილდოს მიცემას უპირობს. ამას გარდა, იაპონელები თხოულობენ, ინგლისელ ოფიცრებს ძეგლი დავუდგათ, ან იმათ სახელობაზე სტიპენდიები დავაარსოთო. ამ საქმისათვის ეხლავე საჭირო ფონდს აარსებენ.

კობესა, იოკაგამასა, ოსაკასა და სხვა ქალაქებში ძეგლებსა სდგამენ ამ ომის დროს მოკლულ იაპონელ მეზღვაურთა და ჯარისკაცთა პატივსაცემლად. („რ ლ.“).

„ნოვოსტი“-ს თანამშრომელს პეტერბურგში მანჯურიიდან დაბრუნებული რუსის გენერალი ა. ა. უნახავს და, სხვათა შორის, უკითხავს: რა აზრისა ხარ იაპონელების სამხედრო ტაქტიკაზეო.

—თუმცა ტიურენჩენთან ბრძოლას არ დავსწრებივარ, მაგრამ იქ ახლო ვიყავ და ბრძოლის ამბავი კარგად გავიგე. უნდა გითხრათ, რომ იაპონელები კარგად მოემზადნენ ამ ბრძოლისათვის და დიდის მოფიქრებითაც იბრძოდნენ. მეტად მედგარი და გაბედული იერიში მოიტანეს. წინადვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, ან გავიმარჯვოთ, ან გავწყდეთო. მეტად მამაცად იბრძოდნენ და მეტად უშიშრად ჰკვდებოდნენ. ჩემის აზრით, იაპონელები მეტად საშიში მოწინააღმდეგენი არიან.

მეტად ბევრი ტყუილი ცნობა მოდის სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან. წინად ქალ. ჩიფუს (ჩინეთშია) უჩიოდნენ,—რაც ტყუილი დეპეშაა, სულ იქიდან მოდისო, მაგრამ ეხლა ჩიფუ სხვა ქალაქებმა გააფასეს... თავ. მეშჩერსკი ამ ტყუილ ცნობების თაობაზე სამართლიანად სწერს „გრაჟდანინ“-ში: მეტად ბევრი უცნაური ტყუილი ცნობა ვრცელდება ხალხში. დღეს, მაგალითად, ვლადივასტოკიდან მიღებული დეპეშაა დაბეჭდილი, ვითომ იაპონელებმა, ტრანსპორტების დაღუპვით აღელვებულებმა, კობეში ადმირალ კამიმურას სახლი დაანგრიესო (ეს დეპეშა „ნოვოე ვრემია“-ს მოუვიდა)... ვლადივოსტოკში საიდან გაიგეს იაპონიაში მომხდარი ამბავი? რა დასაჯერებელია ეს ცნობა?.. ცხადია, განგებაა შეთხზული, მაგრამ ყველას მაინც სჯერა. ამაზე უარესი ცნობებიც იყო დაბეჭდილი გაზეთებში: პორტ-არტურთან იაპონიის არმია სულ მთლად გასწყვეტეს ბრძოლის დროსაო, გენერალი კუროკი დაამარცხეს და ტყვედ დაიჭირესო და სხვ. ამისთანაები.“

„ტან“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის პირველმა მინისტრმა გრაფმა კაცურამ ერთს ამერიკელ მისიონერს უთხრა საუბრის დროს: იაპონიას თავის თვით-მყოფელობის დაცვა და ზავის განმტკიცება სწადიან. ზავის უმთავრესი მოწინააღმდეგე რუსეთია. იაპონია სამართლიანობისა, კაცთ-მოყვარეობისა და განათლების გულისათვის იბრძვის და არა სარწმუნოებისა და რასის (მოდგმის) გულისათვის. („მ. ვ.“).

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყება: მარკიზი იტო, რუსეთში ელჩად ნამყოფი კურინო და ცუზუკო 27 ივნისს იოკაგამიდან სამხრეთ იაპონიას წავიდნენ არსენალებისა და ნავთსადგურების დასათვალიერებლადაო.

ციურიხიდან დეპეშით ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: შვეიცარიის სამხედრო აგენტები პოლკოვნიკი ოდეონტი და კაპიტანი ბარდეტი ლიაოიანიდან დაითხოვესო. („რ. ს.“):

ჩინეთი. „ფრანკფურტერ ცაიტუნგს“-ს ატყობინებენ შანხაიდან: პეჩილიის მეფის მოადგილემ იუანშიკაიმ და რამდენმამე წარჩინებულმა მანდარინმა ურჩიეს დედოფალს, მეფის მოადგილეები, გენერალ-გუბერნატორები და გუბერნატორები ყოველ წელს პეკინში შევკრიბოთ ხოლმე სახელმწიფო საქმეებზე მოსალაპარაკებლადაო. აქამდე ვერ გაიგეს, მოეწონა დედოფალს ეს რჩევა თუ არა.

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ შანხაიდან: ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა, რაც 18 პროვინციაში ჯარი გვყავს, სულ ევროპიულ წესზე მოვაწყოთო. ამბობენ, ამ რეფორმას 10 მილიონი ტაელი დასჭირდებაო.

ახალი ამბავი

✦ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ ქალაქის სასანიტარო კომისიას გადასცა ხალხში დასარიგებლად რუსულსა, ქართულსა, სომხურსა და თათრულს ენებზე დაბეჭდილი დარიგებანი **ხოლერასთან ბრძოლის** შესახებ.

✦ სამშაბათს, 6 ივლისს, სხდომა ექნება ტფილისის სასანიტარო კომისიას. კომისიამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საკითხი **ხოლერასთან საბრძოლველად** უბნებში სამზრუნველოების შემოღების შესახებ.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ მთელ გზაზე ბუფეტის პატრონებმა იქონიონ **ადუღებული წყალი**, როგორც ცივი, ისე ცხელი ჩაისთვის. ამასთან ცხელი წყალი ყველას—მოსამსახურეებს, მგზავრებსა და მუშებს—უსასყიდლოდ უნდა მიეცეთ.

✦ როგორც ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობის ცნობებიდანა სჩანს, მთელს **კავკასიაში ყოფილა 1224** ექიმი.

✦ შემოდგომაზე ბათუმსა და ქუთაისში ჩამოსვლას აპირებს **იუსტიციის მინისტრი** ბ-ნი მურავიოვი.

✦ **ფილოქსერა გორის მაზრაში** თანდათან ძლიერდება. სკრასა და ცხინვალს გარდა ფილოქსერა სოფ. კასპშიაც გაჩენილა.

✦ როგორც გვატყობინებენ, განსვენებულ **სამსონ თოფურიას** სულის მოსახსენებლად პანაშვიდები გადაუხდიათ ცაგერსა და ახალ ქალაში (ლეჩხუმში), ცაგერში 27, ახალ ქალაში—29 ივნისს. ახალ-ქალაში პანაშვიდ შემდეგ თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ გელოვანს სიტყვა უთქვამს და დამსწრე საზოგადოებისთვის გაუცვნია განსვენებულის მო ღვაწეობა.

✦ კავკასიელ **სტუდენტთა დამხმარებელმა საზოგადოებამ** სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, მომავალ წელს 500 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს.

✦ უმაღლესმა მთავრობამ უკვე გადასწყვიტა, ხაზინიდან რა შემწეობა უნდა აღმოეჩინოთ მომავალ სამ წელს ამიერ-კავკასიის ქალაქებს ჯარის სადგომის დასაქირავებლად. ტფილისს წელიწადში მიეცემა—65,000 მან., ქუთაისს—10,000 მ., ახალციხეს—5,000 მ., გორს—2,500 მ., ახალქალაქს—1,000 და სიღნაღს—1,000 მ.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს **აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი** დაინიშნა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის უფროს სპეციალისტად კავკასიაში.

✦ 2 ივლისს ტფილისის **ახალ საყასბოს** ამშენებელმა კომისიამ დაადგინა, მიიღოს ინჟინერ რაგრაგინსკის მიერ შედგენილი პროექტი ახალ საყასბოსი და ნება მისცეს მსურველთ, ამ პროექტის მიხედვით შეადგინონ და კომისიას წარუდგინონ ახალი პროექტი.

✦ ტფილისის გუბერნატორის მოთხოვნილების თანხმად ქალაქის გამგეობამ შეასწორა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტი **სავალდებულო დადგენილებათა** ქალაქში სახლების დანომრვის შესახებ. გუშინ მოურავის მოადგილემ გუბერნატორს ხელახლა წარუდგინა პროექტი.

✦ გუბერნატორმა ორჯელ უბრძანა ტფილისის მოქალაქეთა გამგეობას, ყოველი საშუალება იხმაროს სხვა-და-სხვა **გადასახადების დარჩენილ ფულის** მოსაკრებად. მოქალაქეთა მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელმა აცნობა სახლის პატრონებს, თუ დაუყოვნებლივ დარჩენილ ფულს არ შემოიტანთ, სახლებს გაგიყიდითო. თუ მოქალაქეთა გამგეობამ ამ საშუალებით [illegible] გააწყო-რა, მაშინ ფულს დაუჭერს იმ დაწესებულებებში, სადაც ისინი შრომობენ.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა მეორედ მისწერა ქალაქის მოურავს და სთხოვა, ყურადღება მიაქციოს გამგეობამ, რომ უსახელო საზოგადოება რიგიანად **ახუფთავებდეს იმ ქუჩებს**, სადაც ლიანდაგი გაჰყავს.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ ახალ ლიანდაგის კეთება დაიწყო რიყეზე; საკომერციო სასწავლებლიდან მოკიდებული ციციშვილის აღმართამდე იმდენი მასალა დაუყრია საზოგადოებას, რომ მეტად გაჭირდა

ფელეტონი

პატარა ამბები

ბოდიში.—კახელები და კახელი გლეხი.—თამამშევის ქარვასლის ნოქრები.—შეცოდება და მოვალეობის შეგნება.

ბოდიშს ვიხდი მკითხველების წინაშე, რომ ეს სამი კვირაა, „პატარა ამბები“ ვერ მივაწოდე. ამას თავისი გასამართლებელი მიზეზი ჰქონდა. დედა-მიწაზე უმიზეზოდ ხომ არა არის რა და ისეც დიდ ბედნიერებად უნდა ჩავთვალოთ, რომ ხშირად ასეთი მიზეზი მაინც შეგვრჩება ხელში.

ასეთი ჩვეულება გვაქვს ადამიანებს, ყველაფერს გასამართლებელი საფუძველი უნდა მოვუძებნოთ, მიზეზს კი გასამართლებელი მიზეზი გამოვუნახოთ—ჩვენთვის არის გაჩენილი, ჩვენ გვინათებსო. ერთმანეთის შესახებ ხომ ადამიანებს მუდამ ენაზე გვაკერია გასამართლებელი მიზეზი: ვჟლეტავთ ერთმანეთს, ვავიწროვებთ, ვტანჯავთ, შეურაცხყოფას მივაყენებთ, ვცარცვავთ, თუ ვიმონებთ, ყოველთვის გასამართლებელს მიზეზს შევთხზავთ: ერთი თუ მეორეს სჩაგრავს, ეს იმიტომ, რომ იმაზე უკეთესი ვარ, უფრო დიდი მუცელი მაქვს, მეტი სიამოვნება მიყვარს, უფრო უსვინდისო კაიძმა ვარ, უფრო მეტი ძალა მაქვს მკლავებში, ან ჩემი გვარი ხმოვანი ასოთი იწყება, მე ხუთი თითით ვიწერ პირჯვარს, ის სამითაო, მე ხუთი შვილი მყავს, იმას ოთხიო, ან ჩემი სახლის კარი სამხრეთით არის, იმის ჩრდილოეთითაო, წუხელს ცუდი სიზმრები ვნახე, [illegible] სახლში რწყილები გაგვიჩნდაო და სხვა ათას ამ გვარ მიზეზს გამოვიგონებთ.

მაგრამ, როგორც ვსთქვი, ხშირად ასეთი მიზეზიც აღარსად არის...

ეს ფილოსოფიური განყენებული მსჯელობა იქით იყოს და მე კვლავ ბოდიშს ვიხდი მკითხველების წინაშე, იმ მკითხველების წინაშე, რომელნიც ჭეშმარიტად კითხულობენ ჩემს „პატარა ამბებს“. იმათ წინაშე კი ბოდიშის მოხდა მეტი ხარჯია, რომელნიც მხოლოდ მაშინ მოიკითხავენ ჩემს ფელეტონებს, როდესაც ისინი არ იბეჭდებიან გაზეთში, დაბეჭდილი კი არ ეინტერესებათ. რასაკვირველია, მათთვის არც ჩემი გასამართლებელი მიზეზია საჭირო.

შუა ზაფხული მოახლოვდა. დაცხა და ასეთ ამინდში „პატარა ამბების“ ხალისიც აღარ არის. წამკითხველის შესახებ ვერას ვიტყვი, დამწერისთვის კი გაძნელდა „პატარა ამბები“. ასეთი „ამბები“ მაშინ იწერება სიამოვნებით და კარგად, როდესაც ადამიანის გონება ფხიზელია, გული იცინის და შეჰხარის მშვენიერს სურათებს. თორემ ამ სიცხეში, როდესაც დედამიწას მეტის სიმხურვალისაგან ბოლი ასდის, ხეს და ბალახს განძრევა უჭირს და ადამიანს სუნთქვა ეძნელება და ეზარება, გონება სიცხისაგან დამბლა დაცემულივითაა, ძნელია, ძნელი „პატარა ამბების“ წერა!..

ამიტომ უკაცრავად მკითხველთან, მაგრამ დროებით „პატარა ამბების“ მაგიერ სხვა ამბების წერას დავიწყებ. სხვა და სხვაობაც საჭიროა—მტრისა და მოყვრისათვისაც. დღეს კი მაინც ისევ „პატარა ამბებს“ მოგითხრობთ, ვინაიდან ზოგიერთი ნისიები დამრჩა გასასწორებელი. ერთმა უცნობმა ადამიანმა დუქნიდან წამომძახა, ერთი წერილი გამომიგზავნა და [illegible]: „ეი, შენ მეგაზეთე, ეს წერილი დაბეჭდეო!“ მეტი არა უთქვამს. მოკლედ მითხრა, მაგრამ მოკლე სიტყვას ისეთი მუქარა მოაყოლა მაგარის მუშტით, რომ იძულებული ვარ დავუბეჭდო წერილი.

ალეგორია არავის ეგონოს: ნამდვილი ამბავია!..

**

ძველი ამბავია იმერეთის სოფლის გაღარიბება; მცხოვრებთა რიცხვი გამრავლდა, ადგილ-მამული საყოფნი არაა. ყველამ იცის, მაგალითად, რა ძვირად ფასობს დღეს მიწა რაჭაში, სადაც კლდეებზეც კი სთესავენ სიმინდსა და პურს. ბოლო დროს სიღარიბე ვრცელდება ქართლ-კახეთის სოფლებშიაც. განსაკუთრებით თვალში ეცემა ადამიანს მშვენიერი ბუნება კახეთისა, ერთის მხრით და, წინააღმდეგ, სულ სხვა სურათი კახელის გლეხის ცხოვრებისა მეორეს მხრით.

კახელისათვის ყველაფრის წყარო ღვინოა: ღვინის ფასით ისტუმრებს მტერსაც და მოყვარესაც, ხელმწიფესაც, მოხელესაც, აზნაურსაც და მღვდელსაც. მაგრამ წელს თურმე ღვინის მეიდველი არსად არის, მრავალი ღვინო გაუიდავი რჩება და ისეც შევიწროებული გლეხი უკიდურეს მდგომარეობაში ვარდება. რასაკვირველია, ღვინის გაუიდველობისა გამო უჭირთ თავად-აზნაურებსაც, მაგრამ ამათ იმდენი სათადარიგო კეთილშობილი სისხლი აქვთ შეგროვილი და შენახული მრავალი საუკუნის განმავლობაში, რომ არა უშავთ, ცოტა რომ დააკლდეთ ხანდახან.

სულ სხვა არის გლეხის მდგომარეობა, რომელსაც სათადარიგოდ და შესანახად კი არა, ყოველ დღიურ სახარჯავად არ ჰქონდა [illegible] სისხლი. ერთი [illegible] კორესპონდენტი [illegible] ნაირად აგვიწერს კახელი გლეხის დღევანდელ მდგომარეობას: „ღვინო, რომელიც წინად 100—150 მან. იყიდებოდა, ეხლა 50—60 მან. ფასობს. მოდი და ნუ დალევს კახელი ღვინოს? ან უნდა დალიოს, ან უნდა გადაღვაროს. გადაღვრა-კი სჯობია ცალიერ მუცელზე დალევას! ცალიერ მუცელზეო, ვამბობ, რადგან დიდი უმეტესობა კახელებისა—გლეხკაცობა—ცალიერ მუცელზე სვამს ღვინოს... სვამს ღვინოს ჩიკუპატებული ვაჟკაცი, მაგრამ იგი ღვინოს ასხამს მწვადს და ამიტომაც წითლად უჟონგლიდებს კისერი!.. სვამს სამღვდელოება, მაგრამ ბოზბაშ-შილაფლავით სავსე კუჭზე, ამიტომაც ეხზეა იგი ღვინით! ეხზე მოჰყავს ნუნუს კეთილშობილიც, რადგან სანოვაგესაც არ აკლებს კუჭს,—ვალით შოულობს, თუ ვახშით, ამის დარდი არა აქვს! სულ სხვაა კახელი გლეხი: იგიც სვამს, გადაჰკრავს ღვინოს, მაგრამ გადაჰკრავს ჯანგამოფიტულ გვამში, მშიერ მუცელზე და მოსწყდება კისერი. რა ჰქნას? ყველი აღარ აქვს, ქათამ-კვერცხი აღარ შერჩენეს, საქონელი გაელია. რა სჭამოს? პურშიაც-კი დგარძლი გამოერია... ერთი ბედნიერება-ღა დარჩენია [illegible] გლეხს: გაყიდოს რამე—თუ მოეპოვება—[illegible]ში, იყიდოს იქ დამპალი დაობებული თევზი ან გადამღვრძვალ საქონლის ლეში და ამით მაინც გამოძღეს წელიწადში ორჯერ-სამჯერ..“

**

კახელი არას სჭამს რა, რადგან არაფერი აქვს. ტფილისის ზოგიერთ ნოქრებს-კი საჭმელი აქვთ, მაგრამ მაინც ვერაფერს სჭამენ. უგულო ბუნებას ქვეყანა ისე მოუწყვია, რომ ჭამისათვისაც ძალის და ენერგიის დასახარჯავა საჭირო. ნოქრებს უბე-

ამ ქუჩაზე მიმოსვლათ. პოლიცმეისტერი სთხოვს გამგეობას, დაავალოს საზოგადოებას, ის მასალა, რაც არა სჭირდება, აიღოს რიყის ქუჩიდან.

◆ 28 ივნისს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა საჯარო ვაჭრობა ბანკში დაგირავებულ სოფლის 4 მამულისა. გაიყიდა 3 მამული. 1 მამულის გასასყიდად დამატებითი ვაჭრობა დაინიშნა 12 ივლისისათვის. გაყიდულ მამულზე ბანკის ვალი ითვლებოდა 2497 მანეთი 60 კაპ. გაიყიდა სულ 2497 მან. 50 კაპ.

◆ ტფილისის საინჟინერო დისტანციამ გუშინ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ კერძო პირები იმ სახლებთან, სადაც მოთავსებულია სამხედრო სურსათი, იარაღები და სხვა, შენობებს აგებენ. მცხოვრებთ უფლება არა აქვთ 20 საჟენზე ახლოს აგონ შენობებით.

◆ ჯერაც არ გაუტანიათ ნიკოლოზის მოედნიდან ამ რამდენისამე ხნის წინად ნაიღვრებისაგან ჩამოტანილი ქვა და ქვიშა. პოლიციამ გუშინ აცნობა ეს ამბავი ქალაქის გამგეობას.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არსებულ გამსესხებელ შემნახველ კასაში ივნისში შესანახად შეუტანიათ 75,175 მან., ხოლო გამოუტანიათ 26,986 მან. პირველ იანვრიდან 1 ივლისამდე კასაში შეუტანიათ 390,270 მან., გაუტანიათ 166,625 მან.

◆ ტფილისის საბჭოს ხმოსანმა ა. ლულაძემ განუცხადა სანიტარო კომისიას, მე-10 საპოლიციო უბნის სასანიტარო დასში მონაწილეობას მივიღებო.

◆ ვარვარინო. 2 ივლისს, დილის 10 საათსა და 20 წუთზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 248 სადგურში შემოვიდა, უკანიდან მეორე ორთქლ-მავალი დაეჯახა. ორი ვაგონი დაიმტვრა, ერთი ლიანდაგს გადასცდა და ორთქლმავალიც დაზიანდა.

◆ კოპიტნარი. 2 ივლისს, საღამოს 8 საათსა და 45 წუთზე, მე-75 ვერსზე რკინის გზის ლიანდაგზე მოდიოდა 60 წლის მოხუცი ეგნატე ჭანტურია. ამ დროს მოასწრო საქონლის მატარებელმა № 581 და ძლიერ დაშავა. დაშავებული იმავე მატარებლით სამტრედიის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ კარაკლისი. 30 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მე-110 ვერსზე კლდიდან გადმოვარდა ქვა, დაეცა თავში მომუშავეს იაგარ ბაჩაროვს და დააშავა. დაშავებული რამდენისამე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ ევლახი. 2 ივლისს, ღამის 12 საათზე, სადგურის უფროსის თანაშემწემ კუზნეცოვმა, რომელმაც არ იცოდა რევოლვერის ხმარება, უეცრად მოარტყა რევოლვერის ტყვია ფეხში სადგურის ჟანდარმს ფურსოვს. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ იკოთის მცხოვრებთ კოტე და სანდრო ჩიტიშვილებმა ამას წინად ძალზე სცემეს სოფელ ფავლიანთ კარის მცხოვრებს ივანე პავლიაშვილს და წაართვეს 55 მანეთი.

◆ 18 ივნისს სიღნაღის მაზრაში, ქიაურის მახლობლად, მასოში, შეტაკება მოსვლიათ საპოლიციო დარაჯებს ივანე კობახიძეს და კარნეი რუბენს და ვიღაც შეიარაღებულ ლეკებს. ატეხილა ამათ შორის სროლა. ლეკებს თუმცა მოუსწრიათ გაქცევა, მაგრამ პოლიციას შემდეგში ერთი მათგანი, ოქიევი ომაროღლი შეუპყრია.

◆ 30 ივნისს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში საჯარო ვაჭრობა მოხდა 5 მამულის გასასყიდად. გაიყიდა 4 მამული.

◆ რედაქციამ მიიღო ორი ახალი წიგნი: 1. „ჩემი სტვირი და სხვა-და-სხვა გასართობი ლექსები“, ანტონ განჯისკარელისა, გამოც. ალ. შახ-ბარათოვისა; პაწაწინა წიგნაკია და ფასი-კი ორი შაური ადევს. 2. „საყმაწვილო ამბები“, თომა ასათიანისა, გამოც. ი. იმედაშვილისა. ესეც პაწაწა წიგნია და ღირს ორ შაურად.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელის-მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 233.** შინაარსი: „ოზიმანდია“, ლექსი შილლერისა, თარგმ. ი. ევდოშვილისა, „დამნაშავე“, ნინო ნაკაშიძისა; სურათები: კორესპონდენტები იალუსთან მომხდარ ბრძოლას უყურებენ, იაპონიის ჯარი რუსების მოსატყუებლად საგანგებოდ გამართულ ხევნებში მიდის, იერიში იაპონიის ჯარისა რუსეთის სიმაგრეებზე ანდუნთან, ტიურენჩენის ბრძოლა და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბავი

◆ 30 ივნისს მოხდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა“-ს წლიური კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვ. ა. თუმანიშვილი. კრებამ დაამტკიცა გამგეობის მიერ წარდგენილი წლიური ანგარიში. როგორც ანგარიშიდან სჩანს, ამხანაგობის 1900 წლის ალებ-მიცემობა ალემატებოდა 108,000 მანეთს. საანგარიშო წლის ოპერაციებიდან ამხანაგობას დარჩენია წმინდა მოგება 4000 მანეთამდე. აქედან კრებამ გადასდო 2000 მანეთი სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღის და ქონების გასაუმჯობესებლად, დანარჩენი 2000 მანეთიდან ნაწილი (10%) გადასდო სათადარიგო თანხად, ნაწილი მოსამსახურე პირთა დასაჯილდოვებლად, დანარჩენი დაარიგა დივიდენდად (16% მეტი). როგორც გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, ამხანაგობას მიმდინარე წლიდან გაუფართოვებია მოქმედების პროგრამა. ამხანაგობა შუამავლობას უწევს სოფლის მეურნეთ თესლეულობისა, ხეხილების ნერგებისა და სამეურნეო იარაღის შეძენის საქმეში. ამისთვის გამგეობამ მოსთხოვა კრებას, რომ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა გადიდებულ იქმნას 1400 მანეთით. კრებამ დაადგინა, გაადიდოს ხარჯთ-აღრიცხვა 4,400 მანეთამდე. დასასრულ კრებამ წილი უყარა გამგეობის წევრებს, თუ რომელ წევრს უნდა ეყარა კენჭი. წილი შეხვდა გამგეობის თავმჯდომარეს ი. ქუთათელაძეს, რომელმაც უარი განაცხადა, სამსახურის და სხვა მიზეზების გამო არ შემიძლიან დარჩენაო. კრებამ ერთხმად სთხოვა ბ-ნი ქუთათელაძე კიდევ დარჩენილიყო თავმჯდომარეთ. ბ-ნი ქუთათელაძე ბოლოს დათანხმდა და ერთხმად აირჩიეს ხელმეორედ.

† ანტონ ჩეხოვი

გუშინ ტელეგრამმა შეგვატყობინა გამოჩენილი რუსის მწერლის ანტონ პავლეს ძის ჩეხოვის გარდაცვალების ამბავი. ლევ ტოლსტოის შემდეგ ანტონ ჩეხოვი ვლ. გ. კოროლენკოსთან და მაქსიმ გორკისთან ერთად საუკეთესო მწერლად ითვლება რუსეთში. მისი მრავალი ბელეტრისტული და დრამატიული ნაწარმოები ასი ათასობით სცდება რუსეთში და ითარგმნება ყველა ევროპიულ ენაზე. ჩეხოვი ნამდვილი რეალისტია და საკვირველი ანალიტიკოსი: დიდის ნიჭით აღგვიწერს ნამდვილ ცხოვრებას, გვიჩვენებს თანამედროვე ცხოვრების საძაგელ მხარეებს და დაკვირვებულს მკითხველს უღვიძებს ღრმა მწუხარებას ამ ცხოვრების ანორმალურ მოვლენათა გამო. მისი თხზულებანი პესიმისტურ ხასიათისა არიან და თითქმის უიმედობას უნერგავენ მკითხველთ: ბილწია, ეგოისტური და უაზრო ეს ჩვენი ცხოვრებაო. მიუხედავად ამისა, ანტ. ჩეხოვსაც უღვივის გულში იდეალი და იმედი აქვს, რომ კაცობრიობას უკეთესი მომავალი მოელის და ადამიანის ბუნებაც ამაღლდებაო. მაგრამ, დღეს-დღეობით ადამიანი პირუტყვია და დაბალ ინსტინკტებით ცხოვრებსო. ასე ახასიათებს ჩეხოვი თანამედროვე ცხოვრებას თავის მშვენიერს მაღალხელოვნურ თხზულებებში, რომელნიც მარტო რუსის საზოგადოებას-კი არ აგვიწერენ, არამედ სხვა ქვეყნებსაც შეეხებიან, სადაც-კი ბურჟუაზული ცხოვრებაა გამეფებული...

აწ განსვენებული მწერალი დაიბადა 1860 წელს ქალაქ ტაგანროგში; ასე რომ სულ 44 წლისა გარდაიცვალა. მამა მისი უბრალო გლეხი იყო, ბატონი ჰყავდა და 1861 წელს განთავისუფლდა; შემდეგში თავის შრომითა და მეცადინეობით დაწინაურდა, შეძლება მოიხვეჭა და შვილებს განათლება მიაღებინა. ანტონ ჩეხოვმა ტაგანროგში გაათავა გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა საექიმო ფაკულტეტზე, რომელიც 1884 წელს დაასრულა; შეუდგა საექიმო პრაქტიკას, მაგრამ თანდათან გული აუცრუვდა და ბოლოს თითქმის სრულიად თავი გაანება ექიმობას.

ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულმა ანტონ ჩეხოვმა მწერლობა დაიწყო 1879 წელს, როცა სტუდენტად იყო: ჩეხონტეს ფსევდონიმით დაჰბეჭდა რამდენიმე იუმორისტიული ამბავი და მოთხრობა „სტრეკოზა“-სა და „ბუდილნიკ“-ში; შემდეგ გადავიდა „პეტერბურგ. გაზეტა“-სა და „ნოვ. ვრ.“-ში, სადაც მრავალი პატარ-პატარა მოთხრობა დაჰბეჭდა. 1886 წელს გამოვიდა პირველი კრებული მისი თხზულებებისა, ხოლო 1887 წელს—მეორე. ამ ორმა კრებულმა დაამტკიცა, რომ ჩეხოვი გამოჩენილი მწერალია, დიდის ნიჭით აღჭურვილი და თანაც კარგის მიმართულებისა. ამ დროიდანვე შეუდგა დიდი მოთხრობა-რომანებისა და დრამატიულ თხზულებათა ბეჭდვას სერიოზულს რუსულს ჟურნალებში („სევერნი ვესტნიკ“, „რუსსკ. მისლ“, „ჟიზნ“ და სხვა). ამ დროდან ჩეხოვი საყვარელ მწერლად გადაიქცა და ყოველს მის ახალს თხზულებას საზოგადოება აღტაცებით კითხულობდა. ნამეტურ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მისმა ნაწარმოებებმა: „სტეპ“, „სკუჩნაია ისტორია“, „დუელ“, „პალატა № 6“, „მუჟიკი“, „ჩელოვეკ ვ ფუტლიარე“, „ვ ოვრაგე“, „ივანოვ“, „ჩაიკა“, „დიადია ვანია“, „ტრი სესტრი“ და სხვა. რამდენად საყვარელი შეიქნა რუსის საზოგადოებისათვის ანტონ ჩეხოვი, მტკიცდება იმით, რომ მის თხზულებათა კრებულები მრავლად გავრცელდა: კრებული „ვ სუმერკახ“ გამოიცა 13-ჯერ, „პესტრიე რასსკაზი“—14-ჯერ, „ხმურიე ლიუდი“—10-ჯერ, „პალატა № 6“—7-ჯერ, „რასსკაზი“—13-ჯერ და სხვა. 1901—1902 წელს გამოვიდა ან. ჩეხოვის თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. მაშინ ანტ. ჩეხოვის დიდი ნიჭი და ღვაწლი ყველასაგან იყო უკვე აღიარებული და სამეცნიერო აკადემიამაც საპატიო აკადემიკოსად აირჩია.

როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ჩეხოვი ჯერ კიდევ არ იყო მოხუცებული და ბევრს კარგს შესძენდა რუსულს ლიტერატურას; ამიტომ მისი მოულოდნელი სიკვდილი, უეჭველია, დიდ მწუხარებას გამოიწვევს არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარ-გარედაც. განსვენებულს მწერალს ჩვენი ლიტერატურაც აქცევდა ყურადღებას: ბევრი მისი პატარა მოთხრობა გადაითარგმნა და დღესაც ითარგმნება და იბეჭდება ქართულს პერიოდულს გამოცემებში.

რუსეთის ქრონიკა

◆ სენატმა განმარტა, რომ ერობათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სკოლების და სასწავლებლების გამგეობაში, რომელნიც იმათ ხარჯზე არიან. ამ უფლების ჩამორთმევა კანონს ეწინააღმდეგება და სასწავლებელთათვის მავნე შედეგი მოჰყვება, რადგან უფლება ჩამორთმეული ერობანი საჭირო ხარჯებს მოერიდებიანო.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუდგენია პროექტი გლახაკ-მათხოვართა რჩენა-შენახვის შესახებ. პროექტით, ეს საქმე უნდა დაევალოს საქალაქო, საგუბერნიო, სამაზრო-სასოფლო და სამრევლო ღარიბთათვის მზრუნველ კომიტეტებს, რომელთაც ხაზინა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში აღმოუჩენს დახმარებას. პროექტს მომავალ შემოდგომას განიხილავს სახელმწიფო საბჭო.

◆ ფინანსთა სამინისტროში შეუდგენიათ განსაკუთრებული საქმის წარმოება კერძო ბანკების რევიზიისათვის. ამ განყოფილებას დაევალება ბანკების ანგარიშების განხილვა, მათ მოქმედებისათვის თვალ-ყურის გდება და განსაკუთრებულ შემთხვევაში, მინისტრის განკარგულებით, ბანკებში კონტროლის და რევიზიის გამართვა. განყოფილება არ შეეხება მხოლოდ სადგილ-მამულო ბანკებს, რომელთაც განსაკუთრებული რწმუნებულნი ადევნებენ თვალ-ყურს.

დურებაც აქედან წარმოსდგება: მათ საკუთარი ძალა მიყიდული აქვთ „ხაზეინებზე“, რომელთაც სრული „უფლება“ აქვთ მოიხმარონ ნაყიდი საქონელი—რა უყოთ, რომ ამ შემთხვევაში იგი ცოცხალი ადამიანის ენერგიაა,—მოიხმარონ, როგორც მათ სურთ და ენებებათ და არ უნდათ, რომ მათ მიერ შეძენილი საქონელი ნოქრებმა ჭამასა, სმასა და მოსვენებაზე დახარჯონ, რადგან არც ერთით, არც მეორეთი, არც მესამეთი „ხაზეინებს“ არაფერი შეემატებათ. „ხაზეინები“ გაიძახიან, ასე რომ ვიქცევით, სრული გასამართლებელი მიზეზი გვაქვსო.

ერთმა ნაცნობმა ნოქარმა ასე აგვიწერა თამამშევის ქარვასლის ნოქრების მდგომარეობა:

ნოქარი შვიდს საათზე უნდა გამოცხადდეს მაღაზიაში და ამ დროიდან დაწყებული ფეხზე დგას განუწყვეტლივ საღამოს 10 საათამდის, დილას სახლში ჩაის დალევას ვერ ასწრებს, არც აქვს ამის შეძლება. მაღაზიაში რომ მივა, უნდა ახლობელ ყავახანიდან ერთი სტაქანი ჩაი მოიტანოს, დალიოს, მაგრამ „ხაზეინი“ ლანძღვას დაუწყებს—სახლში ვერ დალიე, აქ მაგისათვის ცდებით. დგას ნოქარი ფეხზე, მაგრამ ამას ვინ აკმარებს. წამ-და-უწუმ უნდა გამოვიდეს გარედ, თვალ-ყური ადევნოს გამვლელ-გამომვლელთ და შეიპატიჟოს მაღაზიაში. აი, შეიყვანა მუშტარი, აჩვენა სხვა-და-სხვა საქონელი, მაგრამ მუშტარმა მაინც არაფერი იყიდა. მაშინვე შემოვარდება მაღაზიაში ბატონი და დაუწყებს ყვირილს ნოქარს: შენ ასეთო-ისეთო.—უყვირის ბატონი ნოქარს მაშინაც, თუ საქონელი გაჰყიდა, მაგრამ ვერ მოატყუა მყიდველი—ვერ მისცა დამპალი, უვარგისი საქონელი ან ვერ გადაახდევინა ორჯერ ზედ-მეტი ფასი.—„შენ უღაზათო, უშნოო“! უძახის ნოქარს (შნოიანი ისაა, ვინც კარგად მოტყუილება იცის). დაიღლება, დაიქანცება ნოქარი, უნდა მოსვენებით სადილი სჭამოს, მაგრამ ამის დრო სადა აქვს: მხოლოდ ფეხზე დგომით შეუძლიან რამდენიმე ლუკმა გადასჭყლაპოს დაუღეჭავად. თუ ამ დროს მუშტარი შემოვიდა, სადილი უნდა მიატოვოს და ლუკმა კისერში გაკვეტებულმა საქონელი უნდა გადმოულაგოს და ევაჭროს. ეს ყველაფერი კიდევ არაფერი. მოჰხდება ასეც: „ხაზეინებს“ რამე გასართობი გაიტაცებს—ლოტო, ან ნარდი, თამაშობენ საღამოს 5-6 საათამდის და ნოქრებიც მათ შეჰყურებენ და ვიდრე ისინი სადილს არ მიირთმევენ, თვითონაც მშიერები არიან. სიცხეა. დაღლილს ადამიანს ძალა-უნებურად შემოეპარება ძილი. „ხაზეინები“ ტკბილად იძინებენ, მაგრამ ნოქარმა თუ ერთი თვალი დახუჭა, ვაი იმისი ცოდვა!... ზევითა ვსთქვი, ბატონებს ნარდისა და ლოტოს თამაში უყვართ-მეთქი. თუ ამ თამაშობის დროს რამე წააგეს, უნდა ნოქრებს გადაახდევინონ: თქვენ ოხრები ხართ, არას აკეთებთ, არაფერი გივაჭრიათო!..

ასეთი ტანჯული ცხოვრება გვაქვსო, მითხრა ნოქარმა: წიგნის და გაზეთის წაკითხვა ჩვენთვის ხომ ოცნებად გადაიქცაო. მაგრამ რა მოგველის ასეთის ცხოვრების შემდეგო? მე ვნახე გუშინ ერთი კაცი, რომელიც 45 წელიწადი ნოქრად იყო, ჩვენსავით გამწარებული ცხოვრება ჰქონდა და ისე უპატრონოდ და ულუკმა-პუროდ არის, რომ მათხოვრობით იბრუნებს სულსო.

ასე შემომჩივლა ჩემმა ნაცნობმა ნოქარმა და ამ სიტყვებით გაათავა თავისი საჩივარი: „ყველას ვთხოვ რიგიანი ყურადღება მიაქციონ ნოქრების მდგომარეობას, და თუ ნოქრები მართალნი არიან, შეიცადონ მაინც ისინიო“!..

ვაი, რომ ხშირად ასეთი შეცოდებაც არ გვემეტება მოყვასისათვის!

* *

სხვისი შეცოდებას იმდენად აქვს ფასი, რამდენაც იგი მოგვაგონებს საკუთარს მოვალეობას. მარტო შეცოდება პასიური გრძნობაა, რომელიც არავითარის ნაყოფს არ გამოიღებს. აქტიური, მომქმედია მხოლოდ მოვალეობის შეგნება. ვის არ უნახავს, რომ ხშირად რომელიმე ადამიანი მწარე ცრემლებსა ღვრის სხვის გაჭირვებისა გამო, მაგრამ უძრავად იმყოფება და ხელსაც არ გაანძრევს გაჭირვებულის დასახმარებლად. პირიქით, შევხვდებით ისეთ ადამიანსაც, რომელიც იმდენად-კი არ სტირის, რამდენად მოქმედობს ტანჯულის ბედის გამოსაკეთებლად. ასეთს ადამიანს უფრო ის აწუხებს, რომ თვითონ ისიც არის დამნაშავე, მასაც აქვს ბრალი, რომ ქვეყანაზე ასეთი თუ ისეთი უბედურება ტრიალებს. მართალი რომა ვსთქვათ, მარტო სხვისი შეცოდება საკუთარის მოვალეობის შეუგნებლად შეურაცხყოფაა ადამიანისა, ვიდრე თანაგრძნობა და პატივის ცემა მისდამი! კარგი კი იქნება, ვინმე წყალს რომ მიქონდეს და ჩვენ შევიცოდოთ მხოლოდ! რა თავში იხლის ჩვენს შეცოდებას?!..

ჩვენი ერთი უმთავრეს ნაკლულევანებათაგანი ისაა, რომ შეცოდება ვიცით და საკუთარის მოვალეობის შეგნება კი არა! მაგრამ უნდა აღვიაროთ ისიც, რომ ბევრი, ბევრი რამ ჩვენს ცხოვრებაში შეცოდებამდისაც კი არ ვანვითარებულა. ჩვენში ბევრს არა აქვს დღეს პასიური გრძნობაც—შეცოდებაც, თორემ საკუთარის მოვალეობის შეგნების ხსენებაც კი აღარსად არის...

ისე შეუბრალებელი (ვისგანაც ჯერ არს) არაფერი და არავინ არ არის, როგორც სოფელი და სოფლელები არიან ჩვენში. საითაც გინდათ მიიხედეთ, მათ სასარგებლოდ არაფერი კეთდება. ყოველ მხრიდან სოფლის დაჩაგვრის შესახებ გვესმის და მის მდგომარეობის გაუმჯობესობისას კი არავინ არაფერს გვეუბნება. სოფელში ვერ შეხვდებით ვერც სასწავლებელს, ვერც სამკითხველოს, ვერც სხვა რასმე, რაიც თავდებია სოფლის წინმსვლელობისა. ყველგან და ყველაფერში უწესრიგობაა, არსად სამართალი და კანონი არ არის, სულ მატყუარობა და უძლურის ძლიერისაგან დამონებაა. სხვა არა იყოს რა, ერთის სოფლიდან მეორეში მისვლა-მოსვლაც კი გაჭირვებულია; სოფლის გამგეებს სხვა ყველაფერთან ერთად გზებიც უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული. თუ შეაკეთებენ, მხოლოდ მაშინ, თუ „დიდს ვისმე“ მოელიან...

სოფელში სკოლა არ არის მეთქი, ვამბობ. ყველგან ასე არაა. აფხაზეთში, მაგალითად, ბევრი სკოლაა გამართული, როგორც ერთი კორესპონდენტი მოწმობს, მაგრამ იქ სხვა უბედურება სჭირთ თურმე სოფლებს: იქაურ სკოლებში სწავლის საქმე ისეა დაყენებული, რომ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, ბავშებს ვერაფერს სძენს და მცხოვრებნი ძალა-უნებურად გაურბიან სკოლასო...

კიდევ ბევრს მაგალითს მოვიყვანდი ჩვენებურ შეუბრალებლობის და მოვალეობისას (დავასახელებდით აი თუნდ ბათუმის ქალაქის გამგეობას, რომლის შესახებ ერთმა ხმოსანმა წამოიძახა: გაგვაგებინეთ ერთი, გვყავს თუ არა გამგეობაო)!, მაგრამ შემდეგისათვის იყოს...

სიტყვა

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ივლისი

რიაზანი. 2 ივლისს ნაშუადღევის 5 საათზე ალექსანდრე-ნევსკის სადგურზე ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე-მემკვიდრე მოვიდნენ. ხელმწიფის მატარებლის მოსვლის დროს სადგურზე თავად-აზნაურობისა, ერობისა, ქალაქისა და გლეხების დეპუტაციები შეიკრიბნენ. ხელმწიფე-იმპერატორმა მირთმეული ხატი და პურ-მარილი მიიღო, წოდებათა წარმომადგენლები მოწყალე ლაპარაკით გაახედნიერა და გამოთქმულ გრძნობათათვის მადლობა გადაუხადათ; ამის შემდეგ იმპერატორის მატარებელი წავიდა.

რიაზანი. საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე სადგურ რიაზანზე მისმა უდიდებულესობამ და ხელმწიფე მემკვიდრემ გამოიარეს და მოსკოვისაკენ გაემართნენ.

მუკდენი. ბოლოს დროს ხუნხუზები ძლიერ ცდილობენ რკინის გზის დანგრევას. როგორაც ეტყობა, ხუნხუზებს იაპონელები უწევენ ხელმძღვანელობას. რამდენსამე ადგილას დარაჯებს დაეცნენ. სხვა-და-სხვა ადგილას ხიდებს ახლო საეჭვო პირები ჩნდებიან, მაგრამ როცა ჩვენი მზვერავები უახლოვდებიან, მთებში იმალებიან. ბეჯით ყურის გდების წყალობით, რკინისგზას არა დაშავებია რა. მოძრაობა დაუბრკოლებლივ სწარმოებს.

შანხაი. („რეიტერის სააგენტო“). 2 ივლისს პორტ-არტურს ახლო, გაშლილ ზღვაში ფლოტის ბრძოლა მოხდა. რუსებმა ამერიკულ გაზ. „ჩიკაგო დეილი ნიუს“-ის დაქირავებულ გემი „ფავანი“ დაიჭირეს და პორტ-არტურში წაიყვანეს. რუსებმა ნიუჩუანი დასცალეს, მაგრამ ის ცნობა, ვითომ იაპონელებმა დაიჭირეს ეს ქალაქიო, ნაადრევი უნდა იყოს. რუსის კანონირი გემი „სივუჩ“-ი ლიაოხეს მდინარიდან ზღვაში გასვლას ცდილობდა, მაგრამ იაპონიის სამხედრო გემს შეჰხვდა, ამიტომ ისევ უკან დაბრუნდა და მდინარის შესართავში დადგა.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 2 ივლისს: „1 ივლისს, დილით, იაპონიის რაზმი ერდაოფანშენის ხეობით გაემართა ლიძიატუნისკენ, რომელიც დაშიცაოდან 13 ვერსზე მდებარეობს. მტერს ჯერ 2, მერე 4 ზარბაზანი ჰქონდა. ეს ზარბაზნები პოზიციებზე ვერ დააწყო, რადგან ჩვენს სადარაჯოდან ლიძიატუნთან ყუმბარები დაუშინეს. ჩვენმა მზვერავებმა სოფელ ლიძიატუნის ჩრდილოეთით და სამხრეთით, სიმაღლეებზე, აღმოაჩინეს მტრის ბლომა ჯარი. ამასთან 9 ზარბაზანი შენიშნეს ბატარეიაზე, რომელიც გოძიატუნის დასავლეთით გაიჩოუს ჩრდილოეთით სოფელ ცინშილიპუში, სიმაღლეებზე აღმოაჩინეს მტრის ქვეითა ჯარი, რომელსაც ჩვენის ზარბაზნებიდან სროლა დაუწყეს. ესროდნენ პოტაიძიდან, რომელიც დაშიცაოს სამხრეთით 12 ვერსზე მდებარეობს. ჩვენის ყუმბარების მეოხებით მტერი წინ ველარ წავიდა. 1 ივლისს ჩვენმა არიერგარდმა დაზვერა ადგილები მანდარინის გზის და რკინის გზის გაყოლებაზე. ჩვენ მზვერავ რაზმებს მტერმა სროლა დაუწყო 3 ბატარეიიდან, რომელიც მანდარინისა და რკინის გზის შუა დაეწყო. შუადღისას იაპონელთა ბატალიონი რკინის გზის გასწვრივ წინ წამოვიდა და შეჩერდა გაიჩოუს სადგურიდან 6 ვერსზე. საღამოზე ეს ბატალიონი სანგოიშისკენ წავიდა, გაიჩოუს ჩრდილოეთ დასავლეთისკენ. რკინის გზის დასავლეთით, გაიჩოუდან 11 ვერსზე, იაპონელებს ეჭირათ სოფელი ხუნციჩანი. 1 ივლისს, სროლის დროს, მოგვიკლეს 1 და დაგვიჭრეს 8 სალდათი. მტერს 4 ცხენოსანი აღმოაჩნდა მოკლული. 2 ივლისს ღამემ წყნარად ჩაიარა. 2 ივლისს, დილით, მტრის მოწინავე ჯარს ეჭირა მაოდინგოუ-შიშილიმპუ-პინზაი, გაიჩოუს ჩრდილოეთით 7 ვერსზე. ამ დღეს დილიდანვე ჩვენის სადარაჯოებიდან შენიშნეს, რომ მტერს თხრილები გაემართა პინზაის სამხრეთით, ტყით შემოსილ ფერდობებზე, ამასთან მუშათა რიცხვი 1 ბატალიონამდე იქნებოდა. მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ იაპონიის ცხენოსანთა პოლკი მდინარე ნანუხეს ხეობაში ყოფილა. მზვერავები ამბობენ, მტრის თვალსაჩინო რაზმს უჭირავს გუგუი, რომელიც სიახოტანის გზაზე მდებარეობს. დალინის უღელტეხილზე ცვლილება არ მომხდარა. 1 ივლისს ხელიუს მიდამოებში ასტყდა სროლა ჩვენს რაზმსა და იაპონელთა მოწინავე როტას შორის. მტრის როტა ტენაგოუსკენ წავიდა. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. სროლა ნამალიუსთანაც ასტყდა. მზვერავთა სიტყვით, ნამალიუსთან, ფინხუანჩენის გზაზე, იაპონელთა რაზმია, 3 ბატალიონისა, 2 ესკადრონისა და 6 სამთო ზარმაზნისაგან შემდგარი. თვალსაჩინო ჯარი მტრისა ლანსაგუანის მიდამოებშია თავმოყრილი. იაპონელები ამაგრებენ უფანგუანის და სიაკაოლინის უღელტეხილებს. ეს უღელტეხილები უჭირავს ქვეითა ჯარის 1—2 ბატალიონს. მოწინავე სადარაჯოებში სროლა ასტყდა ჩვენსა და იაპონელებს შორის. ზარალი არ მოგვსვლია.“

2 ივლისი

პარიზი. საელჩოს ეკკლესიაში გარდაიხადეს პანაშვიდი გენერალ-ადიუტანტის ობრუჩევის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ: გენერალი ანდრე, გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე, რუსეთის საელჩოს ყველა მოხელე, პარიზში მყოფი რუსის გენერლები და ოფიცრები. შემდეგ გვამი წაასვენეს სადგურზე პეტერბურგში გასაგზავნად.

ბერლინი. „რეიხს-ანცაიგერში“ დაბეჭდილია ინგლის-გერმანიის სამედიატორო შეთანხმება, 29 ივნისს დამტკიცებული. ამ შეთანხმების თანახმად გერმანიამ და ინგლისმა პირობა დასდვეს: 1. ყველა სადავო საკითხი და უთანხმოება, თუ დიპლომატიურის საშუალებით ვერ გადასწყვიტეს, უნდა წარუდგინონ ჰააგის სამედიატორო სასამართლოს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს სადავო საკითხები არ ეხება შეთანხმებულ სახელმწიფოთა არსებით ინტერესებს და დამოუკიდებლობას ან სხვა სახელმწიფოთა ინტერესებს. 2. მოპირისპირე მხარენი მოვალენი არიან ყოველ კერძო შემთხვევისთვის, ვიდრე სამედიატორო სამართალს მიმართავდნენ, დასდონ განსაკუთრებითი ხელშეკრულება, რომელშიაც გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული სადავო საგანი, მედიატორეთა უფლებანი და დავა სასამართლოს დაწესებისა; 3. ამ ხელშეკრულების ვადა 5 წელიწადია.

ყაზანი. სითხიზლის ადგილობრივი საზოგადოება 300 მან. საჩუქარს დაჰპირდა იმას, ვინც აღმოაჩენს ყაზანის ღვთის-მშობლის ხატის ქურდს.

კიევი. თავად-აზნაურთა სახლის დარბაზში გაიხსნა კიევის საერობო სასოფლო მეურნეობის გამგე დაწესებულება.

პეტერბურგი 2 ივლისს, ღამის 3 საათზე, ბადენ-ვეილერში (გერმანიაში) გარდაიცვალა რუსის ცნობილი მწერალი ანტონ ჩეხოვი.

მოლდე. 2 ივლისს გერმანიის იმპერატორი იახტა „ჰოჰენცოლერნით“ მოვიდა აქ.

სოფია. (ოპოზიციის წრეებისაგან) ქრისტიან ერთა შორის უთანხმოება ხელს უშლის რეფორმათა წესიერ შემოღებას მაკედონიაში. სამოქალაქო აგენტები ხალხს ყოველგან ამშვიდებენ და რამდენიც კი შეიძლება სხვა-და-სხვა მოთხოვნილებას უსრულებენ. სამოქალაქო აგენტები სტამბოლში საელჩოებს შეეკითხნენ ელჩებმა წინადადება მისწერეს ხილმი-ფაშას, მოხელეები ხალხს აგენტებთან ჩივილს ნუ დაუშლიანო. ხილმი-ფაშა დაჰპირდა, მაგ საქმეს გამოვიძიებო. აჯანყებულთა სხვა-და-სხვა პარტიებს დიდი შეტაკება მოუხდათ, მეტადრე კიჩევოსა და კრუშევაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ავლაბარში კახეთის მოედანზე, გოგილოს აბანოს ქვემოდ, მტკვრის პირად, ხელ-ახლად გაიმართა **თრიმლის სანაყი.** საწყობი კახეთის ქუჩაზეა. ერთი ფუთის დანაყვა ეღირება 10 კაპ., ხოლო გადატანით ტფილისში 11 კაპ. საწყობი 10,000 ფუთისთვის არის. თრიმლი შეიძლება უსასყიდლოდ ეწყოს ოთხ თვეს.
(2—245—1)

ბუხჰალტერიისა და საკონტორო ცოდნათა კურსები
ტფ. საკომერციო სასწავლებელთან
(მეხუთე წელიწადი)

კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო კორესპონდენციასა და სავაჭრო კანონმდებლობას. წავლა დაიწყება **1904 წ. 15 სექტემბრიდან.** კურსები არა ნაკლებ 6 თვისა გაგრძელდება. სწავლება საღამოობით, კვირაში სამჯერ. კურსებზე მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

სწავლის ფასი 40 მან. მთელს კურსში.

თხოვნებს საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზე იღებენ ყოველ დღე დილის 10-დან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში. (5—4)



ევალდ იანკოვსკი
კაფელის ფეჩები, ღუმელები.
სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.
ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის ფასები 25 მანეთიდან.
გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.
საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.
ტელეფონი № 281.
(30—1[illegible])

შპალერების დეპო
პ. ლანკოსი.
გოლოვინის პროსპ., მირიმანოვის სახლი.
ყოველ-კვირა ვიღებ შპალერებს, თითო ნაჭერი 10 კაპ. დაწყებული; იქვე ყოველგვარი დეკორატიული მასალა: ბორდიური, ბაგეტი, რაზასი და სხვა. (3—3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა.** ფასი თითო 5 კაპ.
ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(50—25). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრული სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელშეუხებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილობლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის მეღავათ სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—2

ფირფიტები აპარატები
უმაღლესის **ხარისხისა**
ყველას აკრავს ფაბრიკის მარკა **„მწერალი ამური“.**
კავკასიის უმთავრესი სააგენტო
სააქციონერო საზოგადოებისა **გრამმოფონი**
ტფილისი, გოლოვინის პროსპ., აბიანცის სახლი № 17.



კონკურენციის გარეშე!!
გრამმოფონი **„ტონარმ“**
მემბრანით **„ექსიბიშენ“**
მემბრანის „ექსიბიშენ“-ის მეოხებით გრამმოფონი-ტონარმ იმდენად გაუმჯობესდა, **რომ ამ** სახის აპპარატები
მთელს!! დედამიწაზე საუკეთესოა

უმთავრესი ღირსებანი „ტონარმისა“ „ექსიბიშენის“ მემბრანით შემდეგია:
ხმის გარკვევით გადაცემა!! თითქმის სრული უხმაურობა!! ხმის სიმშვენიერე!!
გრამმოფონ **„ტონარმ“-ს** „ექსიბიშენის“ მემბრანით ოთხი ტიპი აქვს
100 მანეთიდან 200-მდე.
მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ფირფიტებზე
გიგანტ“,
რომელნიც ძალიან მოსწონთ. ამ ფირფიტების დიამეტრი 12 დიუმია, რაც ნებას იძლევა ამ ფირფიტაზე მოქცეულ იქმნას მთელი არიები, ანსამბლები, საცეკვაო ხმები და სხვა **შეუმოკლებლად!!!**

ამ ფირფიტების დიდ დიამეტრის გამო, ჩვენმა ინჟენერებმა შესაძლოდ დაინახეს ხმის გაძლიერება, გამშვენიერება, გარკვევით გადაცემა; ამასთანავე დაცულია **ადამიანის ხმის ბუნებრივი ტემბრი.** ერთის სიტყვით ფირფიტა **„გიგანტი“** ადამიანის ხმას სავსებით გადასცემს, ასე რომ ცოცხალი მომღერალი გეგონება.

დიდი რეპერტუარი—15 ათასი დამზადებული ნომერი სხვა და სხვა ჰანგისა; ამათ ვუმატებთ ყოველ ორ კვირაში ახალ სერიების გამოცემით; ამასთან **„გრამმოფონის“** საზოგადოება ჰყიდის მხოლოდ სრულიად უნაკლულო ფირფიტებს ტეხნიკისა და მუსიკის მხრით.

ტეხნიკური სიკარგე ჩვენის აპარატებისა და შესანიშნავის ხმის ფირფიტისა, რომელნი გადასცემენ მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალთა ხმებს, მთელს ჩვენს წარმოებას აყენებ

◆ **კონკურენციის გარეშე** ◆

კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. ეხლახან გამოვიდა და ისყიდება **ლიბრეტოების მთელი კრებული** გრამმოფონებისათვის. **რუსული** რეპერტუარი. ეს ლიბრეტო შეიცავს თითქმის 600 ნომერს ოპერისა და ოპერეტის არიებისას, რომანსებისას, სიმღერებისას, ანსამბლებისას, ხორებისას, კუპლეტებისას და ამბებისას. ამ კრებულის მეოხებით ყოველს მსმენელს შეუძლია გაიგონოს ხმები, რომელთაც გრამმოფონი ასრულებს. ფასი 1 მან. 50 კაპ. (20—13)

Доз. цензуров. 3 Іюля 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქრთ. ამხ.—ბის. Электропеч. Груз. Изд. То—тва